გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 60
2020 წლის 12 ივნისი
ქალაქი გორი

„გორის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის

დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 თებერვლის #13

განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

გორის მუნიციპალიტეტის მერს არ აქვს დაგეგმილი მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში წარმოდგენილი ქონების რაიმე მიზნით გამოყენება, ხოლო მათი პრივატიზების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეივსება მათი ღირებულების შესაბამისი თანხით. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის ალექსანდრე თარხნიშვილის 2020 წლის 13 მარტის #2902/04/5 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერს მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს შემდეგი მოძრავი ქონების პრივატიზაცია: ავტომობილი VAZ 21213, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი: XTA21213041756038, სარეგისტრაციო ნომერი: II041JJ

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს აღნიშნული ავტომობილის პრივატიზაცია, რისთვისაც საჭიროა შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილება „გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ” გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 თებერვლის №13 განკარგულებაში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 თებერვლის №13 განკარგულებაში და დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1- ით (თან ერთვის 1 ფურცელი).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში. სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე

მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხა

№	მარკა, მოდელი	VIN	სახელმწიფ ო #;	ფერი	გამოშვებ ის თარიღი	შენიშვნა
1	VAZ 2107; სედანი	XTA21070052161440	II091JJ	თეთრი	2005	
2	VAZ 2107 სედანი	XTA21070052159873	II 734 JJ	თეთრი	2005	
3	ფოლცვაგენ პასატი	WVWZZZ3BZ5P014751	II 732 JJ	თეთრი	2004	
4	ვაზ 2121	0021781	II 731 JJ	თეთრი	1978	
5	მერსედეს ბენცი 420	WDB2100721A262157	SS 209 SO	რუხი1/8	1996	
6	ფოლცვაგენ პასატი	WVWZZZ3BZ5PO15524	II 896 JJ	შავი	2004	
7	ოპელ კომბო	WOLOSBF25Y3043462	II248JJ	თეთრი	2 000	
8	MITSUBISHI MONTERO LIMITED	JA4MW51R32J003623	FF592HH	ლურჯი 8/8	2001	
9	BMW სედანი 520 I	WBAHB51070BD59374	SS097SO	შავი	1991	
10	MERCEDES-BENZ ML 350	4JGAB57E15A564881	II949JJ	შავი	2004	
11	DAF SB 220	XLADE02LT00301128	QQ 081 QD	ყვითელი 4/8	1988	
12	DAF SB 220	XLADE02LT00313953	QQ 082 QD	ყვითელი 4/8	1988	
13	DAF SB 220	XLRDE02LT0E325251	CC 452 JJ	ყვითელი 4/8	1989	
14	DAF SB 220	XLVDE02LT0H001347	CC 453 JJ	ყვითელი 4/8	1991	
15	LEXUS GX 470	JTJBT20X430023730	DD 314 TT	რუხი 6/8	2003	
16	VAZ 21213	XTA21213041756038	II041JJ	თეთრი	2004	